პირველი დამარცხება

4 ივნისს ლ. პ. ბერიას სახელობის "დინამოს" სტადიონზე, **ლენინგრადის "ელექტრიკის" და თბილისის "დინამოს"** ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებმა ჩაატარეს მიმდინარე წლის პირველობის გათამაშების მეხუთე კალენდარული მატჩი.

მაყურებლები დინამოელებისაგან მოელოდნენ მწვავე ბრძოლას და ლიდერობის განმტკიცებას. მოლოდინი არ გამართლდა... თამაში დაიწყო სტუმრების აშკარა უპირატესობით. "ელექტრიკის" თავდამსხმელთა ხუთეული თავისუფლად არღვევს დინამოელთა დაცვის ხაზს და მთელი რიგი იერიშების მიტანით აშკარა საფრთხეში აყენებს თბილისელების კარს. მე-10 წუთზე სტუმრები აღწევენ მიზანს – ფროლოვის შეცდომით სარგებლობს მარჯვენა ნახევარ შუამარბი და ძლიერი კუთხური გარტყმით ხსნის ანგარიშს.

პირველი ბურთის გატანის შემდეგ ლენინგრადელებმა უფრო გააძლიერეს თამაშის ტემპი. თბილისელებს კი არევდარევა დაეტყოთ. სუსტი იყო დინამოელთა თავდასხმის ხუთეული, რომელსაც აკლდა თავისი ძირითადი მოთამაშე – ჯეჯელავა. არ ჩანდა ტაქტიკა, ტემპი და ჩვეული კომბინაციური თამაში.

პირველი ტაიმი დამთავრდა სტუმრების სასარგებლოდ ანგარიშით – 1:0.

შეჯიბრების მეორე ნახევარში გავაშელი შესცვალა ბერეჟნოიმ, მაგრამ უშედეგოთ...

თამაშის მეორე ნახევრის უკანასკნელი წუთები აღინიშნა თბილისელთა უპირატესობით. სტუმრების კარის გარღვევა შეუძლებელი შეიქმნა. გამოცოცხლება ნაგვიანევი აღმოჩნდა. "ელექტრიკის" თავდამსხმელთა ხუთეულმა დაიხია უკან დამცველებზე დახმარების გაწევის მიზნით და დაიწყეს ბურთის მოედნის გარეთ სროლა.

დინამოელთა იერიშებმა უშედეგოდ ჩაიარა.

მეხუთე კალენდარული მატჩი წააგო თბილისის "დინამომ", ანგარიშით – 1:0.

საბჭოთა კავშირის 4 უძლიერეს გუნდთან საპატიო შედეგის მოპოვებით თბილისის დინამოელებს თავბრუ დაეხვათ წარმატებისაგან. ამ მატჩიდან მათ სერიოზული დასკვნები უნდა გამოიტანონ.

ვ. გ.–ლია.
"ახალგაზრდა კომუნისტი", 5 ივნისი, 1939 წ.